

ტექსტის ფილოლოგიური ანალიზი, როგორ ინტეგრირებული სწავლების  
მოდელი

თამარ მარანელი

ქეთევან ყველიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საბაზო და საშუალო  
საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

*საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის  
მომზადების პროგრამა*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ტალიაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2016

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.*

ქეთევან ყველიაშვილი

თამარ მარანელი

22.06.2016წ.

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ქ.თბილისის კლასიკური გიმნაზიის VIII<sup>o</sup> კლასში განხორციელებული კვლევის ანგარიშს. წინამდებარე კვლევის მიზანია ტექსტზე მუშაობის პროცესში (კითხვის ეტაპზე), კლასის ორგანიზების პირობებში, ისეთი დავალებების შემუშავება, სადაც მოსწავლეები ტექსტს დააკვირდებიან ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი პოზიციიდან.

ინტეგრირებული მიდგომის განხორციელება მოითხოვს დამატებითი აქტივობების, მოდელის ან მეთოდის შემუშავებას, რაზედაც სამეცნიერო ლიტერატურაშიც არის საუბარი. ამის საფუძველზე, კვლევაში ჩართულ მასწავლებელს შევთავაზეთ ინტეგრირებული სწავლებისთვის ხელშემწყობი მოდელი.

მხატვრული ტექსტის ფილოლოგიური ანალიზი ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი პოზიციიდან მოითხოვს მოსწავლის მხრიდან ისეთი კომპეტენციების ფლობას, როგორცაა ანალიზისა და შეფასების უნარი, მხატვრული ხერხებისა და ენობრივი მახასიათებლების ცოდნა და მათი გამოყენება ტექსტის საზრისის ამოსაცნობად.

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს საბაზო საფეხურის მოსწავლეთა კომპეტენციებსა და უნარებს, რამდენად ფლობენ და ეფექტიანად იყენებენ ისინი კითხვის ეტაპზე ტექსტის გააზრების სხვადასხვა სტრატეგიებს მხატვრული ტექსტის გასაანალიზებლად. კვლევისთვის გამოვიყენეთ თვისებრივი მეთოდი, ინსტრუმენტებად კი ჩაღრმავებული ინტერვიუ და დაკვირვება სასწავლო-საგაკვეთილო პროცესზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები სერიოზულ სირთულეებს აწყდებიან ტექსტზე მუშაობის პროცესში და აქედან გამომდინარე, უმრავლესობა არ იზიარებს ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებულად სწავლების თვალსაზრისს.

კვლევის პროცესში ჩართული იყო სკოლის ადმინისტრაცია, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, განსაკუთრებით კი VIII<sup>6</sup> კლასის მოსწავლეები და მათი მასწავლებელი, რომლებიც კარგად აცნობიერებენ ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებულად სწავლების მნიშვნელობას და იმ პრობლემებსაც, რომლებიც ამ თვალსაზრისით არსებობს სასკოლო სივრცეში. აქედან გამომდინარე, ისინი დიდი ინტერესით ჩაერთვნენ კვლევის პროცესში და გაეცნენ მოდელს, რომელიც მათ, როგორც მხატვრული ტექსტის ანალიზის უნარს განუვითარებს, ასევე დაეხმარება მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდის თვალსაზრისით.

**ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები:** ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლება, მხატვრული ტექსტის ფილოლოგიური ანალიზი, ფუნქციონალური სტილისტიკა, როუზის მოდელი-ენობრივი ფენების გამოვლენა, დიფერენცირებული მიდგომა, ჯგუფური მუშაობა.

## მადლობა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრები, ქეთევან ყველიაშვილი და თამარ მარანელი, პირველ რიგში, მადლობას ვუხდით ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ თამარ ტალიაშვილს, ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

ასევე მადლობას ვუხდით ქ.თბილისის კლასიკური გიმნაზიის ადმინისტრაციას თანამშრომლობისთვის, ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას და განსაკუთრებით კი, VIII<sup>6</sup> კლასის მოსწავლეებსა და კვლევაში უშუალოდ ჩართულ მასწავლებელს, სასწავლო ნაწილს, ქალბატონ ნინო ბერაძეს გაწეული დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდით ნიუტონის თავისუფალი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას და ამავე სკოლის დაწყებითი საფეხურის კათედრის ხელმძღვანელს მხარდაჭერისთვის.